ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/

ქ. თბილისი **----------, 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ----- ----------ს სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ N 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ ----------

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა **საკაბელო ტელევიზიის მომსახურების (CPV92232000 - კაბელური ტელევიზია)** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი (----------) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ---------- **ლარად** (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტია:

№	**მომსახურების დასახელება**	**აბონენტების რაოდენობა**	**მომსახურების პერიოდი/თვე**	**ერთი თვის მომსახურების ღირებულება ერთ აბონენტზე**	**ერთი თვის მომსახურების ღირებულება 15 აბონენტზე**	**მომსახურების საერთო ღირებულება (12 თვე)**	**მომსახურების გაწევის ადგილი**
1	*2*	*3*	*4*	*5*		*6*	*7*
1	კაბელური ტელევიზიის მომსახურება	15	12		0.00	0.00	ქ. თბილისი ალექსიძის ქ.N1

3.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 24 საათიანი, უწყვეტი და შეუფერხებელი, მაღალი ხარისხის ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობა, რომელიც მოიცავს ---------- არხს, მათ შორის ყველა ქართულენოვან არხს, რომელიც აკმაყოფილებს სავალდებულო ტრანზიტის მოთხოვნებს.

3.3 მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო მოწყობილობების მიწოდება-მონტაჟს ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

4.2 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს უხარისხოდ გაწეული მომსახურება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 1 (ერთი) დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის

შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევისას მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.5 შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი მომსახურება;
7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება 1 (ერთი) დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5.დროულად განიხილოს “შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2.. განაცხადოს უარი უხარისხო გაწეული მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს

მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი **სსიპ „შემოსავლების სამსახური"** _____ ----------	**მიმწოდებელი** ---------- _____ ----------